ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N159

ქ. თბილისი 8 მაისი 2014 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (შემდგომში - ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის, ვახტანგ ნოზაძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,რეფრეშ სტუდიო" (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ნია ოძელაშვილის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს¹" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შ.პ.ს გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების (GIZ) 2014 წლის 4 აპრილს გაფორმებული #83169407 ადგილობრივი საგრანტო ხელშეკრულების დაფინანსების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს "შემსყიდველმა" "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მოწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ობიექტი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების შესახებ საინფორმაციო ვიდეორგოლის დაზადება - CPV - 92111200

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 4800 (ოთხიათას რვაას) ლარს;
3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულების ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

4მომსახურების გაწევის ვადა, ადგილი და საგარანტიო პირობები

4.1. მომსახურების გაწევის (ვიდეორგოლის შემსყიდველთან შეთანხმებული საბოლოო ვარიანტის მიწოდების) ვადაა არაუგვიანეს 2014 წლის 15 მაისისა.
4.2 ვიდეორგოლის მიწოდების ადგილია ქ. თბილის, გულუას ქ. 6;
4.3 გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იქნას გაწეული მომსახურების ღირებულება.
5.3. "შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს მარგარიტა სიხარულიძეს

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე, მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში;
6.2 წინასწარი ანგარიშსორება (ავანსი) არ განიხილება.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია:
ა) შეამოწმოს მომსახურების (ვიდეორგოლის) ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
ბ) განახორციელოს ,,მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:
ა) აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარვეზების შესახებ;
ბ) უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
გ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, "მიმწოდებელს" გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.
7.3. "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს "შემსყიდველს" მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
ბ) მონაწილეობა მიიღოს შემსყიდველის მიერ ინსპექტირების პროცესში;
7.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია:
ა) მომსახურება გაწიოს სათანადო ხარისხით წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მათ შორის:

- შეიმუშავოს სცენარი და სლოგანი შემსყიდველთან შეთანხმებით;
- გადაიღოს ვიდეო რგოლი საკუთარი ვიდეო აპარატურით;
- შეუთანხმოს შემსყიდველს რგოლის ქრონომეტრაჟი (რომელიც უნდა იყოს არაუმეტეს 1 წუთისა);
- ტექსტი ჩაწეროს და დაადოს ხმა ვიდეორგოლს შემსყიდველთან შეთანხმებით;
- დაამუშაოს და დაამონტაჟოს გადაღებული ვიდეო მასალა;
- ვიდეო რგოლის საბოლოო ვარიანტი შეუთანხმოს შემსყიდველს;
- ვიდეორგოლის საბოლოო ვერსია მიაწოდოს შემსყიდველს ტელევიზიებისთვის მისაღებ ფორმატში (MP4).

ბ) დროულად განიხილოს "შემსყიდველის" პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
გ) დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;
7.5. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მარგარიტა სიხარულიძე
8.2. ინსპექტირება გულისხმობს "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.
8.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს "შემსყიდველი" ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით "შემსყიდველი".
8.4. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.5. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 %-ის ოდენობით.
9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, "მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 30 %-ის ოდენობით და იგი ვალდებულია აღნიშნული თანხა გადაიხადოს შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველისთვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს შემსყიდველის ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
12.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

15. შესყიდვის ობიექტის სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურების ხარისხი და სპეციფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება, მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკება და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა "შემსყიდველს", ხოლო ერთი - "მიმწოდებელს".

17. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №6
ტელ/ფ: 2727200, 2727220, 2727237
ს/კ: 204861943
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა,
კოდი: 220101222,
ა/ა: 200122900
ადმინისტრაციული დეპარტამენტის
უფროსი
ვახტანგ ნოზაძე

"მიმწოდებელი"

შპს „რეფრეშ სტუდიო"
მის: ქ.თბილისი, ცაბაძის #4
საკონტაქტო ტელ: 599 91 73 53
ს/კ: 401996195
საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი"
კოდი: TBCBGE22
ანგარიშის №: GE60TB7529236080100005

დირექტორი

ნია ოძელაშვილი

ჩვენ შემსყიდველის მხრიდან ხელისმომწერნი, მიმწოდებლის მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლით (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები) დადგენილ წესებს.

მოამზადა:

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარმა
სპეციალისტმა, სამმართველოს უფროსის მოვალეობის
შემსრულებლმა:

მალხაზ ლაბაძე

შეთანხმებულია:

საზოგადოებასთნ ურთიერთობის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი:

მარგარიტა სიხარულიძე